მსოფლიო პრაქტიკა

სიახლეები

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის გათვალისწინებით მგზავრთა გენდერული ინფორმაციის დამუშავების შესახებ

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა (“EDPS”) მიგრაციის მართვის შესახებ მოსაზრება გამოაქვეყნა

ირლანდიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ

ირლანდიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ირლანდიის სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ მონაცემთა დამუშავების პრაქტიკის შესწავლის თაობაზე გადაწყვეტილება გამოაქვეყნა. საქმის ფარგლებში, საზედამხედველო ორგანომ საჯარო სერვისებით სარგებლობის ბარათის მისაღებად რეგისტრაციის პროცესში სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენების კანონიერება შეაფასა.

ივნისი 2025

საქმის შესწავლის საფუძველი:

საზედამხედველო ორგანოს მიერ საქმის შესწავლის საფუძველი საჯარო სერვისებით სარგებლობის ბარათებთან დაკავშირებით 2019 წელს შესწავლილი სხვა საქმე გახდა, რომლის ფარგლებშიც სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ მონაცემთა დამუშავების ზოგადი პრაქტიკა შემოწმდა.

სოციალური დაცვის დეპარტამენტმა აღნიშნულ საქმეზე მიღებული საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. საბოლოოდ, საჩივარი უკან იქნა გაწვეული და საზედამხედველო ორგანოსა და სოციალური დაცვის დეპარტამენტს შორის შეთანხმება შედგა. გადაწყვეტილების შესახებ საბოლოო ანგარიში 2021 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა, რომელშიც აღინიშნა, რომ რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებული ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების შემთხვევა შესწავლილი იქნებოდა დამოუკიდებლად, სხვა გადაწყვეტილების ფარგლებში. საზედამხედველო ორგანომ ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების შესახებ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად განიხილა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, საჯარო სერვისებით სარგებლობის ბარათის მისაღებად რეგისტრაციის პროცესი სავალდებულო იყო. რეგისტრაციის გარეშე პირი ვერ ისარგებლებდა სოციალური დაცვის დეპარტამენტის მომსახურებით, მათ შორის, სოციალური დახმარებით. რეგისტრაციის პროცესში, მუშავდებოდა დიდი რაოდენობით განსაკუთრებული კატეგორიის, მათ შორის, ბიომეტრიული პერსონალური მონაცემები. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) თანახმად, ბიომეტრიული მონაცემები განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემებია, რომელთა დამუშავებაც საჭიროებს განსაკუთრებული უსაფრთხოების წესების დაცვას. 2021 წლისთვის დეპარტამენტი ქვეყნის სრული მოსახლეობის 70%-ის ბიომეტრიულ მონაცემებს ინახავდა.

სახის ამომცნობი ტექნოლოგიის გამოყენებისას ადამიანის უფლებების მზღუდავი ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი დასაბუთება. კერძოდ, კონკრეტული და მკაფიოდ განსაზღვრული მიზნის არსებობა. აგრეთვე, მიზნის მიუხედავად, ბიომეტრიული მონაცემების კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით დამუშავება.

შემოწმების ფარგლები:

საზედამხედველო ორგანომ შეისწავლა:

- სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი;
- ბიომეტრიული მონაცემების შენახვის კანონიერი საფუძველი;
- მონაცემთა სუბიექტების სათანადო ინფორმირებით, მონაცემთა დამუშავების პროცესში გამჭვირვალობის პრინციპის დაცულობა;
- მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენებისას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება:
საქმის შესწავლის ფარგლებში ირლანდიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა “GDPR”-ის:

- მე-5(1)(ა), მე-6(1) და მე-9(1) მუხლების დარღვევა, რადგან საჯარო სერვისებით სარგებლობის ბარათის მისაღებად ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი არ იყო დასაბუთებული;
-
- მე-5(1)(ე) მუხლის დარღვევა, რამდენადაც ბიომეტრიული მონაცემების შენახვა რეგულაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა;
-
- მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა, ვინაიდან, გამჭვირვალობის პრინციპის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტებს მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე სათანადო ინფორმაცია არ მიეწოდათ;
-
- 35(7)(ბ)(გ)-ე მუხლის დარღვევა, რადგან რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით შემუშავებული, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი არ იყო სრულყოფილი.
-

წარმოდგენილი დარღვევებისათვის, საზედამხედველო ორგანომ სოციალური დაცვის დეპარტამენტს შენიშვნა გამოუცხადა და, აგრეთვე, 550,000 ევროს ოდენობით ადმინისტრაციული ჯარიმა დააკისრა. ამასთან, მოსთხოვა, 9 თვის ვადაში შეეწყვიტა რეგისტრაციის პროცესში ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება, გარდა აუცილებელი საჭიროებისა, რაც უნდა ყოფილიყო სათანადოდ დასაბუთებული.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა (“EDPS”) მიგრაციის მართვის შესახებ მოსაზრება გამოაქვეყნა

2025 წლის 28 მაისს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა (“EDPS”) ევროკავშირში არალეგალურად მცხოვრებ პირთა სამშობლოში დაბრუნების ერთიანი სისტემის (“Common System For the Return of Third Party Nationals”) შესახებ კანონპროექტის თაობაზე მოსაზრება გამოაქვეყნა. კანონპროექტის მიზანი ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგალურად მცხოვრები მონაცემთა სუბიექტების სამშობლოში დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობაა.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის მოსაზრებით, საჭიროა კანონპროექტის შინაარსისა და მონაცემთა სუბიექტების ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე მისი ზემოქმედების სიღრმისეული შეფასება, მათ შორის, კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით, რაც მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების დროულ იდენტიფიცირებასა და ინციდენტთა პრევენციას ხელს შეუწყობს.

მოსაზრების ფარგლებში, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი მიგრაციისა და მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შემდეგ ძირითად საკითხებს აწესრიგებს:

- მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების ვალდებულება მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, რაც მოიცავს თავშესაფრის მინიჭების შესახებ ან თავშესაფარზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას;
- მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ კანონპროექტის შესაბამისობა მონაცემთა დაცვის წესებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ინფორმაციის მესამე ქვეყანაში გადაცემის შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესაბამისი გარანტიების არსებობა.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის მოსაზრებით, საიმიგრაციო კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე თავშესაფრის მაძიებლებს შესაძლოა უარი ეთქვათ მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობაზე. გამონაკლისები მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების ვალდებულებასთან მიმართებით უნდა გავრცელდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, თუ ინფორმაციის გაცემამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო უსაფრთხოებას. ასევე, მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ კანონმდებლობაში რეკომენდებულია, მიეთითოს მონაცემთა დაცვის წესების თაობაზე. ამავდროულად, საჭიროა მონაცემთა სუბიექტებს ეცნობოთ მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის უფლებების შესახებ.

-

მოსაზრების ტექსტში მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის შესახებ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი აღნიშნავს, რომ მიგრაციის კონტექსტში მონაცემთა გადაცემისას აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის დამატებითი გარანტიების მიღება, განსაკუთრებით, როდესაც ინფორმაცია მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ნასამართლობის საკითხს შეეხება. აგრეთვე, საჭიროა ჩატარდეს მონაცემთა გადაცემის „აუცილებლობის ტესტი“ (“Necessity Test”). ამასთან, საიმიგრაციო მონაცემთა გადაცემამ მონაცემთა სუბიექტთა უფლებებისთვის საზიანო შედეგი ან არაჰუმანური მოპყრობის ფაქტი არ უნდა გამოიწვიოს. საგულისხმოა, რომ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი არასრულწლოვანთა შესახებ ინფორმაციის გადაცემისას განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვის საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას, რათა ბავშვთა საუკეთესო ინტერესი და მათი კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული.

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ სამშენებლო ასოციაცია მოვალეთა პერსონალური მონაცემების შემცველი სიის საჯარო გამოქვეყნებისთვის დააჯარიმა

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ, მონაცემთა სუბიექტის მიმართვის საფუძველზე, სამშენებლო ასოციაციის მიერ მოვალეთა პერსონალური მონაცემების შემცველი სიის ბეჭდური ფორმით საჯარო გამოქვეყნების ფაქტი შეისწავლა.

სამშენებლო ასოციაციამ, როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, შენობის შესასვლელში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას - განცხადებებისთვის გამოყოფილ შემინულ სივრცეში, ასოციაციის წევრთა სამუშაო შეხვედრის დეტალები გამოაქვეყნა, რომელსაც თან დაერთო ასოციაციის 12 მოვალის პერსონალური მონაცემების შემცველი სია. აღნიშნულ სიაში მოხსენიებულმა ერთ-ერთმა მოვალემ, შემდგომში მონაცემთა სუბიექტმა, მისი მონაცემების დამუშავების კანონიერების საკითხის შესწავლის მიზნით, საზედამხედველო ორგანოს განცხადებით მიმართა.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა საზედამხედველო ორგანოსთან არ ითანამშრომლა და მისთვის წარდგენილ შეკითხვებს არ უპასუხა.

საზედამხედველო ორგანოს მიერ საქმის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მოვალეთა პერსონალური მონაცემების შემცველი სიის ბეჭდური ფორმით საჯარო გამოქვეყნებით ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი დაარღვია, რომლის თანახმად პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს იმგვარად, რომ სათანადო ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომების მეშვეობით უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხოება, მათ შორის დაცული იყოს უკანონო და არაუფლებამოსილი პირების მიერ დამუშავების, შემთხვევით დაკარგვის, განადგურების ან დაზიანებისაგან (უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა). მოვალეთა პერსონალური ინფორმაციის შემცველი სიის საჯარო გამოქვეყნება კი, არღვევდა ძირითადი რეგულაციის წინამდებარე პრინციპს.

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ სამშენებლო ასოციაცია 1 000 ევროს ოდენობით დააჯარიმა და გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში ასოციაციის მოქმედებების ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციასთან“ შესაბამისობაში მოყვანა დაავალა.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge